საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/2475-15

"28" 10 2015 წ.

ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირ ობიექტივს"

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში „კომისია") მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა, რომელმაც მოითხოვა რეაგირება მოეხდინა კომისიას თქვენ მიერ სამაუწყებლო ბადეში ყოველდღიურად წამების კადრების ფრაგმენტების გავრცელებისა და გადაცემის, წამყვანის მიერ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ პირდაპირი ფიზიკური ანგარიშსწორების საჯაროდ მოწოდების გამო.

კომისიამ შეისწავლა თქვენს სამაუწყებლო ბადეში 26 და 27 ოქტომბერს გადაცემული პროგრამები და უფლებამოსილია განგიმარტოთ შემდეგი:

1. მაუწყებელთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტიური ჩართულობით, მათი წინადადებების საფუძველზე შემუშავებული და კომისიის დადგენილებით დამტკიცებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 38–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას";

2. ამავე კოდექსის 39–ე მუხლის შესაბამისად, „დაუშვებელია სექსუალური სცენის, აგრეთვე **გაუპატიურების ან/და სექსუალური ძალადობის სცენის გრაფიკული გამოსახვა და გადაცემა 06:00 საათიდან 24:00 საათამდე;** ამასთან, სექსუალური სცენებისა ან/და სქესობრივი ურთიერთობის შესახებ **განხილვების** ეთერში გადაცემა **20:00 საათიდან 23:00 საათამდე** გამართლებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას, **ჯეროვნად შემოკლებული და რედაქტირებული ფორმით;**

3. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 45–ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამების განთავსება 06:00 საათიდან 24:00 საათამდე; 18 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება სამაუწყებლო პროგრამა, თუ ის შეიცავს სქესობრივი აქტის **ან სექსუალური ძალადობის ამსახველ გრაფიკულ სცენებს;** არასრულწლოვანის მონაწილეობით **ან გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური ურთიერთობის ამსახველ სცენებს;**

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ძალადობის ამასხველ სცენებს ახლო ხედით ან 15 წამზე მეტი ხნით (გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო, ისტორიული, ფანტასტიკური ან კომედიური ჟანრის პროგრამებისა);

4. გასათვალისწინებელია, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56–ე მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, იკრძალება პორნოგრაფიის, **აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის** ან რეკლამის **განთავსება**, რომელიც შეიცავს უხამსობას. ამავე კანონის მე–2 მუხლის 3^{12} პუნქტის შესაბამისად, უხამსობაა ქმედება, **რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და არა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება.**

5. კომისია შეგახსენებთ, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესასრულებლად, სავალდებულო ნორმების დარღვევის შემთხვევებს, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში, მხოლოდ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოები განიხილავენ. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებაში, ამავე კანონის 59^1 მუხლის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად, ადამიანის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი უხამსი შინაარსის სცენების სამაუწყებლო პროგრამაში გამოყენების ფაქტი, შეიძლება კომისიის ან/და სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს და მაუწყებლის მიმართ ნეგატიური სამართლებრივი აქტის გამოცემა გამოიწვიოს.

6. კომისიამ შეისწავლა თქვენი 2015 წლის 26 ოქტომბრის ეთერი და გამოარკვია, რომ წამებისა და სექსუალური ძალადობის ფაქტების ამსახველი კადრების გამოყენება პროგრამაში განხორციელდა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით (მხედველობაში გვაქვს გადაცემის კონტექსტი და სარედაქციო დასაბუთება, ეთერში 24:00 საათიანი წყალგამყოფის შემდგომ განთავსება, უხამსი ელემენტების დაფარვა, მოკლე რამდენიმეწამიანი ქრონომეტრაჟი, რისი გამოყენებაც შეიძლება გამართლდეს გადაცემის კონტექსტით), მაშინ, როცა 27 ოქტომბრის ეთერში 20:00 საათიან წყალგამყოფამდე გასული იგივე კონტექსტისა და შინაარსის პროგრამაში, თქვენ მიერ გამოყენებულ იქნა 15 წამიანი კადრი (სცენა), სადაც ახლო ხედით, დაფარვის გარეშე გრაფიკულად ისახება სექსუალური ძალადობის უხამსი, ადამიანის პატივისა და ღირსების, მისი ძირითადი უფლებების შემლახავი კადრი.

7. კომისიას გათავისებული აქვს მაუწყებლის როლი ინფორმაციის თავისუფლების, მათ შორის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების, ზოგადად - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის პროცესში, თუმცა მიაჩნია, რომ მაუწყებელმა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ღირებულებები უნდა დაამკვიდროს ისე, რომ არ შელახოს სხვათა, მათ შორის არასრულწლოვან მოქალაქეთა უფლებები.

8. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოგიწოდებთ თქვენი სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში დაუყოვნებლივ უზრუნველყოთ თქვენს ეთერში 2015 წლის 27 ოქტომბერს გადაცემული წამების საწინააღმდეგო პროგრამის, ასევე ყველა სხვა მომავალში განსათავსებელი მსგავსი პროგრამების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯეროვანი რედაქტირება და მათი მაუწყებელთა ქცევის კოდქსის მოთხოვნებთან

შესაბამისობაში მოყვანა, ასევე - ამავე კოდექსის შესაბამისად განთავსება სამაუწყებლო ბადეში (წყალგამყოფის დაცვა).

9. კომისიას მიაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ზემოაღნიშნული მომართვის კონტექსტში უნდა განიმარტოს, რომ ჟურნალისტის მიერ პროგრამაში გამოთქმული მოსაზრება ან იდეა, მათ შორის ცალკეული სოციალური (პოლიტიკური) ჯგუფების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების აგრესიული ფორმით გამოხატვა ჟურნალისტის პროფესიული თავისუფლების, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებშია და დაცულია სიტყვისა და გამოხატვის კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებით, თუმცა, ამ შემთხვევაში, ჟურნალისტმაც და მაუწყებელმაც უნდა დაიცვან გამოხატვის სტანდარტი, ვინაიდან, **რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს** წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239[1] მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას.

დანართი: არასამთავრობო ორგანიზაციების მომართვა - 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ვახტანგ აბაშიძე

კომისიისთავმჯდომარე

GNCC

From: Gela Bochikashvili [gelabochikashvili@gmail.com]
Sent: Friday, October 23, 2015 5:23 PM
To: post@gncc.ge
Subject: მმართველობითი კომისიებს მარეგულირებელ კომისიას

"29 ოქტომბრიდან მედია-კავშირგაბმულობიექტივის" ეთერში, ყოველდღიურად გადაიცემა სამეგრელოში ფუნქციონირებადი წამების კადრების ფრაგმენტები. ცხადია, ძალადობის და დანაშაულის მხილება საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, მაგრამ მედიას შეუძლია ეს ფუნქცია აუდიტორიის გრძნობებით მანიპულირების და ადამიანის ღირსების შემლახავი კადრების პერმანენტულად და კამპანიურად გავრცელების გარეშე შეასრულოს. ამგვარი ქმედებები საზოგადოებაში შფოთის გაღვივებას და ძალადობისკენ წაქეზების პირდაპირ საფრთხეს ქმნის, რისი მხილველიც ბოლო დღეებში საზოგადოება გახდა და რამაც შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას შეუწყოს ხელი.

მაუწყებლობის შესახებ კანონის 56-ე მუხლი აწესებს პროგრამულ შეზღუდვებს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, " იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შფოთის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის." ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, "იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას."

არხის წამყვანი ასევე პირდაპირ ეთერში აკეთებს განცხადებებს, რომლითაც ძალადობას ამართლებს და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ პირდაპირი ფიზიკური ანგარიშსწორებისკენ მოუწოდებს მოქალაქეებს[1].

ვფიქრობთ, რომ ძალადობის ამგვარი წახალისება, რასაც კამპანიური ხასიათი აქვს და სცილდება საზოგადოების პრობლემებზე ინფორმირების ამოცანას, სახიფათოა საზოგადოებისთვის და წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას. მოგიწოდებთ, რეაგირება მოახდინოთ აღნიშნულ ფაქტზე.

http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_statements/231

მედიის განვითარების ფონდი, **MDF**

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, **GDI**

ბალტიისა და შავი ზღვის ალიანსი

საფარი

კონსტიტუციის 42 მუხლი

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, **TDI**

7-9/8156.15
23 10 15
2

საქართველოსრეფორმებისასოციაცია, GRASS

იდეწტობა

მედია კლუბი

არამალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი

საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (GISS)

_____ Information from ESET NOD32 Antivirus, version of virus signature database 12454 (20151023) _____

The message was checked by ESET NOD32 Antivirus.

http://www.eset.com